



MES 5 23 0000182950



16/02/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 14/02/2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00

სხდომის დასრულების დრო: 21:05

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
4. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

6. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
7. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ პროფესორი;
9. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თორნიკე ბაქაძური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი გვალია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი,	I, II
2	ბეჟან ჯავახია		პროფესორი	I, II
3	ბექა კობახიძე		პროფესორი	I, II
4	ნოდარ ბახტაძე		პროფესორი	I, II
5	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
6	ეკა კვინიკაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I, II
7	მაკა ლაშხია			I, II

			ხარისხის ყზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	
8	ნინო მატარაძე		დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	I, II
9	გიორგი ოდოშაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	I, II
10	თამარ გეთიაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	I, II
11	ნათია ბურჯანაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	I, II
12	ირინა სამსონია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I, II
13	თორნიკე კახელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I, II
		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
14	ირინე დარჩია		პროგრამების ხელმძღვანელი	III
15	თინა დოლიძე		პროგრამების ხელმძღვანელი	III
16	ანა ჩიქოვანი		პროგრამების ხელმძღვანელი	III
17	ლევან გიგინეიშვილი		ინსტიტუტის დირექტორი	III
18	ნანა ტონია		კათედრის გამგე	III
19	სოფიო შამანიდი		კათედრის გამგე	III
20	თამარა აფციაური		დარგობრივი კომიტეტის წევრი	III
21	ბელა ხეზეიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
22	მარინე კობეშაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
23	მაია ჯავახიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
24	დარეჯან გარდავაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
25	თეა თათეიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	III

26	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი;	III
27	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	III
28	ზაზა რუხაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში	IV
29	რუსუდან ციციშვილი		შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის დეკანი	IV
30	ქეთევან ჯინჭარაძე		შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
31	თამარ გვიანიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
32	ვახტანგ წივწვაძე	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კანცლერი	V
33	კახაბერ კორძაია		რექტორი	V
34	მარინე გედევანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
35	გიორგი კაკაშვილი		ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	V
36	ქეთევან ნანობაშვილი		პროფესორი	V
37	გულიკო ჯანელიძე		პროფესორი	
38	დავით მახვილაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
39	ხათუნა მხეიძე		ტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	VI
40	ოთარ გელაშვილი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის	VI

		ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	
41	ნათია ბუთხუზი	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
42	გოდერძი ტყეშელაშვილი	„სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
43	თამარ კილაძე	პროფესორი	VI
44	ბორის გითოლენდია	ასპცორებული პროფესორი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დიამინტის პანაგიოტოპულოსი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თეიმურაზ პაპასკირი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მერაბ ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლევან ჭაბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	თათაია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
7	მაია გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	მარინე გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ეკატერინე გაჩეჩილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	მარიეტა ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ეკა ჭყოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ნინო ძნელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
16	ონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	მერაბ ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	ვაჟა მამიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
19	ნინო ქოთოლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

20	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
21	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	V
22	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
23	მარიამ ზანგლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
24	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
25	ეკა ავსაჯანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
26	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
27	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭო სთავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და "არქეოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, „არქეოლოგიის", "თანამედროვე საქართველოს ისტორიის" და "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო, „ისტორიის" და "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (სწავლის სფეროების კლასიფიკატორითან შესაბამისობის პროცესი);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლასიკური ფილოლოგიის", "ახალი ბერძნული ფილოლოგიის", "ბიზანტიური ფილოლოგიის", "ფრანგული ფილოლოგიის", "ესპანისტიკის" და "იტალიანისტიკის" საბაკალავრო, "ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ და „არქეოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო, „არქეოლოგიის“, „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ და „შუა საუკუნეების კვლევების“ სამაგისტრო, „ისტორიის“ და „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (სწავლის სფეროების კლასიფიკატორითან შესაბამისობის პროცესი);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლასიკური ფილოლოგიის", "ახალი ბერძნული ფილოლოგიის", "ბიზანტიური ფილოლოგიის", "ფრანგული ფილოლოგიის", "ესპანისტიკის" და "იტალიანისტიკის" საბაკალავრო, "ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ და „არქეოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო, „არქეოლოგიის“, „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ და „შუა საუკუნეების კვლევების“ სამაგისტრო, „ისტორიის“ და „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

„ისტორიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ისტორია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№68, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა,

		აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

"არქეოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„არქეოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№68, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„არქეოლოგია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№71. 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	არქეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„თანამედროვე საქართველოს ისტორია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№494032. 19.06.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	თანამედროვე საქართველოს ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„შუა საუკუნეების კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„შუა საუკუნეების კვლევები“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№73. 30/09/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	შუა საუკუნეების კვლევები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი შუა საუკუნეების კვლევებში
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ისტორია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№93. 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	42
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„არქეოლოგია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№93. 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	არქეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	42
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჯანიძემ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კლასტერის თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კლასტერში დაჯგუფებული იყო ისტორიისა და არქეოლოგიის შვიდი საგანმანათლებლო პროგრამა (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო). ამ პროგრამების უმეტესობა (ისტორია - ბაკალავრიატი, არქეოლოგია - ბაკალავრიატი, შუასაუკუნეების კვლევები - მაგისტრატურა, არქეოლოგია - მაგისტრატურა, ისტორია - დოქტორანტურა და არქეოლოგია - დოქტორანტურა) 2011 წლის სექტემბრიდან ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამამ „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს. არქეოლოგიის პროგრამები ყველა საფეხურზე მოიცავს ძალიან ფართო თემატურ და მეთოდოლოგიურ დიაპაზონს. ისტორიაში, მაგისტრატურის საფეხურზე არის ორი პროგრამა (თანამედროვე საქართველოს ისტორია და შუა საუკუნეების კვლევები), რომელიც უზრუნველყოფს დისციპლინის შესწავლის ორ განსხვავებულ შესაძლებლობას გამორჩეული თემატური ფოკუსით. ყველა პროგრამა მჭიდრო კავშირშია მათი თანმიმდევრული სტრუქტურისა და ორივე დისციპლინის ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობის გამო. ისინი, აგრეთვე, იზიარებენ მიზანს, სტუდენტებს მიაწოდონ მაღალი დონის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ისტორიასა და არქეოლოგიაში.

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2022 წლის 21, 22, 24 და 25 ნოემბერს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესანიშნავად ორგანიზებული და უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელის (სწავლებაში ჩართული პერსონალი, სტუდენტები, თანამშრომლები) ჩართული თანამშრომლობის გამო, რომლებმაც აკრედიტაციის ჯგუფის წევრებს ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდეს, აკრედიტაციამ ჩაიარა შეუფერხებლად და თავდაპირველი განრიგიდან რაიმე მნიშვნელოვანი გადახრის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეხვედრა გაიმართა ჰიბრიდულ ფორმატში და ორ ენაზე (ქართული და ინგლისური), ტექნიკური და ორგანიზაციული პრობლემები არ ყოფილა. ადგილზე დათვალიერების, ინტერვიუებისა და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ ცალკეული პროგრამები და მთლიანობაში კლასტერი სრულად შეესაბამება აკრედიტაციის არსებულ სტანდარტებს. ეს შესაბამისობა შეფასების ქვეშ მყოფ ყველა კომპონენტს მოიცავს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება (განსაკუთრებით არქეოლოგიის შემთხვევაში).
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ცალკეული კურსების სილაბუსები „არქეოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შეიცავდეს განახლებულ ბიბლიოგრაფიას (განსაკუთრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე).
3. ზოგიერთი კურსის სილაბუსში უნდა დაზუსტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
4. ზოგიერთ კურსზე (არქეოლოგიის საფუძვლები, არქეოლოგიური ძეგლების საველე და საოფისე შესწავლა) მითითებული უნდა იყოს რიდერის სახელწოდება.
5. რეკომენდებულია, შედარებით მოძველებული რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უფრო ახალი უცხოური ლიტერატურის გამოყენება. მაგალითად: Амальрик А.С., Монгайт А.Л. (ა.ს. ამალრიკი, ა.ლ. მონგაიტი) В пойсках исчезнувших цивилизаций (გამქრალი ცივილიზაციების ძიებაში) Москва (მოსკოვი) 1959; ადრეული რკინის ხანის არქეოლოგია (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I, თბ. 1970 შუა საუკუნეების არქეოლოგია (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II, თბ. 1973; არქეოლოგიის საფუძვლები (ბაკალავრიატი) Монгайт А.Л. Археология Западной Европы (დასავლეთ ევროპის არქეოლოგია) Каменный век (ქვის ხანა) მ. 1973; შესავალი საქართველოს არქეოლოგიაში (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I.

თბილისი. 1970; ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II. Tbilisi. 1973; საველე არქეოლოგია (მაგისტრატურა) Авдусин Д., Археологические разведки и раскопки, М., 1959; Блаватский В., Античная полевая археология, М., 1967.

6. ორივე სადოქტორო პროგრამაში სავალდებულო ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" უნდა გახდეს ასისტენტობის ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობებში სასურველია მიეთითოს, რომ პროგრამაში მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
2. სასურველია, სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება.
3. ბოლო წლებში არქეოლოგიის პროგრამების აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.
4. თავად უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი აქვეყნებს სტატიებს (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალებში. რეკომენდებული იქნება უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით წახალისოს პერსონალი.
5. ისტორიისა და არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამებში პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელებად მითითებულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის დარგში განათლება მიღებული არ აქვთ. უმჯობესია, ამ პროფესორებს ჰქონდეთ თანახელმძღვანელის სტატუსი, მანამ, სანამ ისინი აჩვენებენ შესაბამის დარგში მათ გამოცდილებას უახლესი პუბლიკაციების სახით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, სადოქტორო პროგრამებში სავალდებულო ტრენინგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის“ ტრენინგები სადოქტორო პროგრამებში ასისტირების კომპონენტის შესრულების წინაპირობაა. ეს ნიშნავს იმას, რომ დოქტორანტი ვერ განახორციელებს სწავლების ასისტირების კომპონენტს, თუკი მას გავლილი არ ექნება შემოთავაზებული ტრენინგ-კურსებიდან მინიმუმ ერთი. აქვე მოგახსენებთ, რომ დოქტორანტებისთვის მსგავსი შინაარსის ტრენინგ-კურსების შეთავაზების ეს მოდელი აღებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო სადოქტორო სკოლის პრაქტიკიდან, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილება. ამასთან, ვიზიტის დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს მათი მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდათ ტრენინგ-კურსების სილაბუსები, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი.

რაც შეეხება ლიტერატურის საკითხს, საგანმანათლებლო პროგრამების სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ კურსებში გამოყენებული ლიტერატურა მუდმივად საჭიროებს განახლებას. ამასთან ბუნდოვანი რჩება საფუძველი, თუ რატომ გავრცელდა ზემოთ მითითებული რეკომენდაცია კლასტერის ყველა პროგრამაზე მაშინ, როცა დასკვნის პროექტში მითითებულია ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მხოლოდ ორ - ისტორიისა და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ მითითებული რეკომენდაცია უნდა ვრცელდებოდეს არა მთლიან კლასტერზე, არამედ მხოლოდ იმ პროგრამებზე, რომელთა აღწერით ნაწილსა და ანალიზში მითითებულია ინფორმაცია რელევანტური ხარვეზის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი სრულიად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას კურსთან „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“ დაკავშირებით, რომელშიც ტექნიკური უზუსტობის გამო, ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. ასევე, მისი თქმით, ზოგადად, საბაკალავრო საფეხურის ყველა კურსში მითითებული ძირითადი უცხოენოვანი ლიტერატურა თარგმნილია და განთავსებულია ილიაუნის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში კურსების რიდერების სახით, ასევე, ატვირთულია სისტემა „არგუსში“ და elearning-ზე.

პრაქტიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არქეოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების სამუშაო ჯგუფი იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას და აგრძელებს მუშაობას სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნისათვის, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით (მაგ: თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, ჰალეს. არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პარტნიორი დაწესებულება - საქართველოს ეროვნული მუზეუმი - უზრუნველყოფს სტუდენტების/კურსდამთვრებულების სტაჟირებას. 2020-2021 სასწავლო წელს სტაჟირება გაიარეს და უკვე დასაქმდა 7 სტუდენტი/კურსდამთავრებული. ამასთანავე ეროვნული მუზეუმი პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს მუზეუმში კვლევის, სხვადასხვა პროექტებში და სამეცნიერო არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობის შესაძლებლობას. პროგრამაში ჩართული პროფესორების მიერ ორგანიზებულ პალეოლითური ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციებში პროგრამების სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ და პრაქტიკა გაიარეს ეროვნული მუზეუმის წამყვანმა სპეციალისტებმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როგორც 1.5 ქვესტანდარის შემთხვევაში, კლასტერში შემავალი პროგრამებიდან მხოლოდ არქეოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებთან გვხვდება ჩანაწერი პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მითითებული რეკომენდაცია უნდა ვრცელდებოდეს არა მთლიან კლასტერზე, არამედ მხოლოდ იმ პროგრამებზე, რომელთა აღწერით ნაწილსა და ანალიზში მითითებულია ინფორმაცია რელევანტური ხარვეზის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან სთხოვა დაწესებულებას ამ მიმართულებით განმარტების გაკეთება.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა რა მხარდამჭერი და წამახალისებელი მექანიზმები არსებობს დაწესებულებაში როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე დოქტორანტებისათვის და იღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა პრაქტიკული ნაწილისა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდას, შესაბამისად, დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას ვინაიდან მოცემული საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის.

რაც შეეხება წამახალისებელ მექანიზმებსა და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ადმინისტრაციის მხრიდან არსებობს პროფესორების დაფინანსების მექანიზმი, კერძოდ თუ მათ სურთ საერთაშორისო კონფერენციებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, ისინი მიმართავენ ადმინისტრაციას შესაბამისი განცხადებით რის შედეგადაც ადმინისტრაცია ამზადებს რეკომენდაციას დაფინანსებაზე. ამასთან უნივერსიტეტში არის კვლევითი კოორდინაციის სამსახური, რომელიც ეხმარება პროფესორებს კვლევითი გრანტებისა და განაცხადების მომზადებაში. აღნიშნული სამსახური ძირითადად მუშაობს რუსთაველის ფონდის დაფინანსებებისა და გრანტების კუთხით. რაც შეეხება დოქტორანტების ხელშეწყობასა და დაფინანსებას, მათ მიმართაც იდენტური მიდგომა მოქმედებს როგორც აკადემიური პერსონალის მიმართ. ამასთან უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის თანახელმძღვანელების მოძიებას პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. აღნიშნული სკოლა ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა ტრენინგების შეთავაზებას, რომელიც ეხება არა მარტო სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, არამედ კვლევის მეთოდებს. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლის ჰალეს უნივერსიტეტთან, რომელთან კოლაბორაციითაც ხდება არქეოლოგიის ლექსიკონის შემუშავება. მოცემულ პროექტში კი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის სტუდენტები. ასევე დაწესებულებაში პერიოდულად ტარდებოდა კონფერენციები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის, თუმცა კოვიდ პანდემიის პერიოდში მათი ორგანიზება შეიზღუდა, თუმცა დაწესებულება გაზაფხულზე აქტიურად გეგმავს კონფერენციის ჩატარებას, რომელიც უმასპინძლებს არა მარტო საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს, არამედ დოქტორანტებსაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:10

დასრულების დრო: 15:30

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი.

რჩევები:

1. სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ცალკეული კურსების სილაბუსები მოიცავდეს განახლებულ ბიბლიოგრაფიას (განსაკუთრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე);
2. რეკომენდირებულია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი.
3. რეკომენდირებულია, რომ ზოგიერთ კურსზე (არქეოლოგიის საფუძვლები, არქეოლოგიური ძეგლების საველე და საოფისე შესწავლა) მითითებული იყოს რიდერის სახელწოდება;
4. რეკომენდირებულია ზოგიერთი კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები;
5. რეკომენდირებულია შედარებით მოძველებული რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უფრო ახალი უცხოური ლიტერატურის გამოყენება. მაგალითად: Амальрик А.С., Монгайт А.Л. (ა.ს. ამალრიკი, ა.ლ. მონგაიტი) В поисках исчезнувших цивилизаций (გამქრალი ცივილიზაციების ძიებაში) Москва (მოსკოვი) 1959; ადრეული რკინის ხანის არქეოლოგია (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I, თბ. 1970 შუა საუკუნეების არქეოლოგია (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II, თბ. 1973; არქეოლოგიის საფუძვლები (ბაკალავრიატი) Монгайт А.Л. Археология Западной Европы (დასავლეთ ევროპის არქეოლოგია) Каменный век (ქვის ხანა) მ. 1973; შესავალი საქართველოს არქეოლოგიაში (ბაკალავრიატი); ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. I. თბილისი. 1970; ესეები საქართველოს ისტორიაზე, ტ. II. Tbilisi. 1973; საველე არქეოლოგია (მაგისტრატურა) Авдусин Д., Археологические разведки и раскопки, М., 1959; Блаватский В., Античная полевая археология, М., 1967

რჩევები:

1. სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება;
2. ბოლო წლებში არქეოლოგიის პროგრამების აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
3. თავად უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი აქვეყნებს მაღალი გავლენის ან ციტირების ქულის მქონე სტატიებს (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალებში. სასურველი იქნება უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით წახალისოს პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ცალკეული კურსების სილაბუსები მოიცავდეს განახლებულ ბიბლიოგრაფიას (განსაკუთრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე);
2. რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

რჩევები:

1. სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება;
2. ბოლო წლებში არქეოლოგიის პროგრამების აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
3. თავად უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი აქვეყნებს მაღალი გავლენის ან ციტირების ქულის მქონე სტატიებს (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალებში. სასურველი იქნება უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით წახალისოს პერსონალი;
4. დაშვების წინაპირობებში მიეთითოს, რომ პროგრამაში მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაში ჩარიცხვა ან უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევა:

სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „შუა საუკუნეების კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „შუა საუკუნეების კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევა

სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/ რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სავალდებულო ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" გახდეს ასისტენტობის ნაწილი.

რჩევები:

1. სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება;
2. „ისტორიის“ სადოქტორო პროგრამაში პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელებად მითითებულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის დარგში განათლება მიღებული არ აქვთ. უმჯობესია, ამ პროფესორებს ჰქონდეთ თანახელმძღვანელის სტატუსი, მანამ, სანამ ისინი აჩვენებენ შესაბამის დარგში მათ გამოცდილებას უახლესი პუბლიკაციების სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/ რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სავალდებულო ტრენინგი "პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)" გახდეს ასისტენტობის ნაწილი.

რჩევები:

1. სასურველია სილაბუსებში სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმების ახსნა, რათა შეფასების სისტემა უფრო გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მაგალითად, ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 16-დან 20 ქულამდე. ამ და მსგავს შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება ასეთი დიდი დიფერენციაციის თავიდან აცილება;
2. „არქეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაში პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელებად მითითებულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის დარგში განათლება მიღებული არ აქვთ. უმჯობესია, ამ პროფესორებს ჰქონდეთ თანახელმძღვანელის სტატუსი, მანამ, სანამ ისინი აჩვენებენ შესაბამის დარგში მათ გამოცდილებას უახლესი პუბლიკაციების სახით.
3. ბოლო წლებში არქეოლოგიის პროგრამების აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
4. თავად უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილი აქვეყნებს მაღალი გავლენის ან ციტირების ქულის მქონე სტატიებს (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალებში. რეკომენდებული იქნება უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით წახალისოს პერსონალი

მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (სწავლის სფეროების კლასიფიკატორითან შესაბამისობის პროცესი)

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„მოდის დიზაინის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“
2	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	„სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის წლის 09 დეკემბრის N449 გადაწყვეტილება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი მოდის დიზაინში
10	კვალიფიკაციის კოდი და დასახელება 120/ნ მიხედვით	08, ხელოვნების ბაკალავრი
11	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
12	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჯანიძემ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კლასტერის თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა - „მოდის დიზაინი“ აგებულია მონათესავე დარგების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტექსტილის დიზაინის მიმართულებით. პროგრამაში მეტი აქცენტი არის გაკეთებული ტანსაცმლის დიზაინზე, განხილულია ფეხსაცმლისა და ტექსტილის დიზაინის საკვანძო საკითხები. ამასთან, დარგობრივ სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი კურსების ჯგუფიდან კვალიფიკაციის მიმართულების შესაბამისი დისციპლინების არჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებას სფეროს მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს 240 კრედიტს. აქედან: თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი; დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ პროგრამა შეაფასეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები, პროგრამის დანართები და თვითშეფასების ანგარიში, რომელიც აგებულია „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის“ დარგობრივ მახასიათებლის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიშზე, პროგრამის კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით იმსჯელა პროგრამის შესახებ, განსაზღვრა ყველა ის აუცილებელი საკითხი, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის, ასევე დარგის სპეციფიკისა და სპეციალისტის წინაშე წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, გააანალიზა პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობა განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციასთან, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლების მეთოდები, სალექციო და პრაქტიკული მუშაობის საათების შესაბამისობა სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და სხვა.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პრაქტიკა ცალკე სასწავლო კურსად იყოს ჩართული პროგრამაში, სავალდებულო სტატუსით, შესაბამისი თემატიკის გაწერით, რათა სტუდენტს მიეცეს სამივე მიმართულების საწარმოო პროცესის გაცნობის შესაძლებლობა;

2. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები – სასწავლო კურსებში ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 – გაიზარდოს სალექციო საათების რაოდენობა; – „მოდის დიზაინის სავალდებულო და არჩევითი კურსების“ სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს დარგობრივი სასწავლო რესურსით კურსის შინაარსის შესაბამისად; – დაიხვეწოს შინაარსი და ტერმინოლოგია შემდეგ სასწავლო კურსებში: „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1. საფუძვლები. ნალიტიკურ სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2. საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3. მამაკაცის ფეხსაცმელი. ნალიტიკურ სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4. ქალის ჩექმა და კლასიკური ფეხსაცმელი. ანალიტიკურ სტუდიური კურსი“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით, ამ მოცემულობით პროგრამა არის თუ არა შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა სრულიად შესაბამეა სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:10

დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ „მოდის დიზაინის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლასიკური ფილოლოგიის", "ახალი ბერძნული ფილოლოგიის", "ბიზანტიური ფილოლოგიის", "ფრანგული ფილოლოგიის", "ესპანისტიკის" და "იტალიანისტიკის" საბაკალავრო, "ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის სკაითხის განხილვა;

„კლასიკური ფილოლოგიის“ საბაკალავრო

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლასიკური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 178, 28.10. 2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კლასიკური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზანტიური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 179, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზანტიური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზანტიური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„ახალი ბერძნული ფილოლოგიის“ საბაკალავრო

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი ბერძნული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 179, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ახალი ბერძნული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ახალი ბერძნული ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„ბერძნულ - რომაული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბერძნულ - რომაული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 233, 18.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბერძნულ - რომაული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი; ბიზანტიური ფილოლოგიის მაგისტრი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მაგისტრი;
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„ფრანგული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფრანგული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 180, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფრანგული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფრანგული ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„იტალიანისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	იტალიანისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 180, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	იტალიური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	იტალიანისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0231 ენის დაუფლება

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„ესპანისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ესპანისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№176, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ესპანური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ესპანისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

„რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რომანული ფილოლოგია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№223, 18.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	რომანული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი, იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი, ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ნინო ჭალაგანიძემ და ირინა გველესიანმა

აფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შესაფასებლად წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში გაერთიანებული იყო საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების რვა პროგრამა: კლასიკური ფილოლოგია (BA), ბიზანტიური ფილოლოგია (BA), ახალი ბერძნული ფილოლოგია (BA), ბერძნულ-რომაული ფილოლოგია (MA, სამი მოდული); ფრანგული ფილოლოგია (BA), იტალიანისტიკა (BA), ესპანისტიკა (BA), რომანული ფილოლოგია (MA, სამი მოდული). ეს პროგრამები შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 0231 - ენის დაუფლების დეტალურ სფეროს, რომელიც შეისწავლის უცხოური ენის, მათ შორის კლასიკურის, სტრუქტურას და მოიცავს შესაბამისი ლინგვისტიკის, ლიტერატურის, კულტურის შესწავლასაც.

კლასტერში შემავალ პროგრამებს აკრედიტაცია გავლილი აქვთ 2011 (საბაკალავრო) და 2012 (სამაგისტრო) წლებში, მათგან ორმა პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია, კერძოდ, იტალიანისტიკამ (ძველი დასახელება იტალიური ფილოლოგია) და ესპანისტიკამ (ესპანური ფილოლოგია), ამ პროგრამებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, ენების სწავლება ხორციელდება არა მხოლოდ ფილოლოგიური (ლინგვისტურ-ლიტერატურათმცოდნეობითი) ასპექტებით, არამედ შესაბამისი ქვეყნების ისტორიულ-სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ სწორედ ინსტიტუციის ინიციატივით შესაბამისი ცვლილება შევიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის სფეროების მოქმედ კლასიფიკატორში.

საგანმანათლებლო პროგრამები გადამუშავდა და განახლდა რეაკრედიტაციისთვის. ცვლილებები შეეხო პროგრამების სტრუქტურას, მიზნებსა და შედეგებს, კურიკულუმს, ძირითად და არჩევით კურსებს.

შინაარსობრივად პროგრამები ურთიერთკავშირშია და ერთმანეთის განვითარებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, და მეორე მხრივ, რომანისტიკის მიმართულება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემები განსხვავებულია და წარმოაჩენს განსახილველი პროგრამების პრობლემურობას სტუდენტთა რაოდენობისა და, შესაბამისად, განმახორციელებელ პერსონალთა (აფილირებული, მოწვეული) თანაფარდობებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მონაცემები პროგრამების მიხედვით შევსებულია განსხვავებული მიდგომით და რიგ შემთხვევაში არ არის შეტანილი დაზუსტებული. აკადემიური პერსონალის მდგრადობა შენარჩუნებულია (დაახლ. 66%-89%) დენადობის მაჩვენებელი დაბალია (0%-25%, ნაწილობრივ, გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით). პროგრამებს ემსახურება 72 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, თუმცა არ არის დაზუსტებული კლასტერის ფარგლებში და ფაკულტეტის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში დაფიქსირებულია აკადემიური პერსონალის, ძირითადად, მოწვეულის მატება (საბაკალავრო პროგრამებზე 1-4, სამაგისტრო პროგრამებზე-10-მდე).

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, სასწავლო/ადმინისტრაციული ელექტრონული სისტემა; ბიბლიოთეკები (თსუ I კორპუსის საბიბლიოთეკო და სამუშაო სივრცეები; VIII კორპუსის ბიბლიოთეკა და აუდიტორიები; კლასტერის პროგრამების შესაბამისი კათედრების სპეციალიზებული ბიბლიოთეკები და აუდიტორიები, V კორპუსი), გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობა სილაბუსში მითითებულ ლიტერატურასთან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხების გარეშე გაიმართა, უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხელს გვიწყობდნენ საქმიანობაში, დროულად მოგვაწოდეს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები და ცდილობდნენ, დროულად მოგვარებინათ აკრედიტაციის პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემები. ვიზიტის ბოლო შეხვედრაზე

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები, სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები, მათი განხორციელების დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.
2. წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკები (მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის, კურიკულუმის-სასწავლო კურსებისა და შედეგების, გაცნობა-გადრმავება-განმტკიცების ნიშნულების, სწავლის შედეგების შეფასების-სამიზნე ნიშნულების) გაანალიზდეს და გადამუშავდეს; სწავლის შედეგების შეფასების-სამიზნე ნიშნულების რუკები უნდა შედგეს რომანული ფილოლოგიის პროგრამებში (არ არის წარმოდგენილი); რაც წარმოდგენილია, მოითხოვს დახვეწას და დაზუსტებას, განსაკუთრებით იმ პროგრამებთან მიმართებაში, სადაც რუკებზე ნაჩვენებია, რომ ყველა შედეგი გადის ყველა მიზანზე, ან არ არის დადგენილი პროცენტული ზღვრები სამიზნე ნიშნულებისთვის (ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულება); გასათვალისწინებელია, რომ შედეგების რუკებში აისახება მხოლოდ ძირითადი და არა არჩევითი სასწავლო კურსები (როგორც ეს ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაშია).
3. პროგრამაში შეტანილია გალისიური ენა 1, გალისიური ენა 2, გალისიური კულტურა 1, გალისიური კულტურა 2, მაგრამ არ არის აღნიშნული კურსების სილაბუსები. შესაბამისად, ვერ შეფასდა აღნიშნული კომპონენტი.
4. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფრანგული, იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა, ლოგიკურია, დაადასტურონ არა მხოლოდ ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, არამედ დაადასტურონ ასევე სასპეციალიზაციო მოდულის უცხო ენის - ფრანგული/იტალიური/ესპანური ენის ცოდნა B2 დონეზე.
5. რეკომენდებულია, შუალედური შეფასების(გამოცდის) შემდეგ პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად.
6. რეკომენდებულია, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში გაწერილი დავალებების შეფასებები გაიწეროს დეტალურად, თითოეული ქულის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების მითითებით, რომ შეფასებები იყოს უფრო გამჭვირვალე.
7. განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი.
8. სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელდები.
9. აუცილებელია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო პროცესის განსახორციელებელი კორპუსების (თსუ-ის V, VIII კორპუსები) რეაბილიტაცია, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უნდა მოწესრიგდეს

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნიკით, რომ სასწავლო პროცესში შეფერხების გარეშე იქნეს გამოყენებული მულტი მედია და სხვა ტექნოლოგიები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, განმარტა, რომ სალექციო პროცესი მეხუთე და მერვე კორპუსებში შეუფერხებლად მიმდინარეობს და სალექციო პროცესის დამხმარე ტექნიკური აღჭურვილობა ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს. რაც შეეხება იმას, რომ მეხუთე კორპუსი და ნაწილობრივ, მერვეც ინფრასტრუქტურულად გასაახლებელია, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო სივრცეების ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გარემონტება საუნივერსიტეტო დიდ სტრატეგიაშია გაწერილი და შესაბამისად, გეგმიურად მიმდინარეობს. ამ კორპუსების მოწესრიგება და აღჭურვაც ამ სტრატეგიისა და გეგმის ნაწილია და ბუნებრივია, ეტაპობრივად განხორციელდება.

მესამე კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულების მხრიდან მიწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ თსუ-ს უკვე შეძენილი აქვს ახალი ელექტრონული სასწავლო ბაზა, რომელზეც ხდება ძველი ბაზიდან ინფორმაციის გადმოტანა და განახლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ფაქტს რომ თსუ-ს ელექტრონული სასწავლო სერვისების პერმანენტული განახლება არის თსუ-ს სტრატეგიული გეგმის ნაწილი, შესაბამისად, ეს რეკომენდაცია შეიძლება რჩევა ყოფილიყო. ანალოგიურია ინსტიტუციის განმარტება სტუდენტთა გამოკითხვების თაობაზე – ამ გამოკითხვებს ნამდვილად რეგულარული ხასიათი აქვს, დაწესებულების მიერ თვითშეფასების თანმხლებ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ამ სტუდენტური გამოკითხვების კითხვარები, რომლებიც ინტეგრირებულია ელექტრონულ სისტემაში და ყოველი სემესტრის ბოლოს აქტიურდება. გამოკითხვა არის ანონიმური და კონფიდენციალური. ექსპერტთა ვიზიტის დროს შეხვედრებისას გაჟღერდა ის ფაქტი, რომ ეს გამოკითხვა, რიგ მიზეზთა გამო, არ არის სავალდებულო ხასიათის და მათი ანალიზი ყოველთვის ეფექტურად ვერ ეხმარება მათ პროგრამული განვითარების პროცესის დაგეგმვაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია თუ რჩევა ამ მიმართულებით უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც სტუდენტთა მიერ კითხვარების შესავსებად მოტივაციის ქმედითი მექანიზმების შემუშავება, რათა გამოკითხვის შედეგები ეფექტურად იქნას გამოყენებული პროგრამების გასაგვითარებლად და გასაუმჯობესებლად და არა როგორც ახლაა – სტუდენტთა გამოკითხვებისთვის პერიოდული და რეგულარული ხასიათის მიცემა, რადგან ამ პროცესს ისედაც პერიოდული და რეგულარული ხასიათი აქვს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 1.2 სტანდარტი ითხოვს პროგრამის შედეგების ლოგიკურად ჩამოყალიბებასა და ფორმულირებას, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე და იმ ცოდნა-უნარების აღწერას, რასაც სტუდენტი ამ პროგრამის დამთავრებით იძენს. როგორც დასკვნის პროექტის სრული ნარატივი ცხადყოფს, ამ შედეგების ნათლად და ლოგიკურად ფორმულირებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს კლასტერის პროგრამებთან შენიშვნები არ აქვთ, მათი მხრიდან შეფასებითი რუკების დახვეწაა რეკომენდებული, ამიტომ, პირველი და მეორე რეკომენდაციის ადგილი 1.3 სტანდარტშია სადაც, შესაძლოა, გაერთიანდეს პროგრამული რუკების დახვეწის ფორმულირებით და რჩევის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მაინც ახალი მოთხოვნაა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ამუშავებულ პროგრამებზე გარკვეული დროითი მონაკვეთის განმავლობაში

დაკვირვებას მოითხოვს და მექანიზმი ჯერაც განვითარების პროცესშია და არა ისე, როგორც ახლაა წარმოდგენილი – 1.2-სა და 1.3-ში. ამას მთელი კლასტერის პირველ სტანდარტთან შესაბამისობის საერთო შეფასებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინსტიტუციას შეფასებებზე (შუალედური შეფასება იქნება ეს თუ დასკვნითი გამოცდა) აქტიური უკუკავშირის მყარი მექანიზმები აქვს შემუშავებული. შეფასების იმ კომპონენტთა შედეგებიც კი, რომლებსაც თსუ საგამოცდო ცენტრი უწევს ორგანიზებას, პერიოდულად არის ანალიზის ობიექტი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან (იქნება ეს საგამოცდო პროგრამა, რომლის მიხედვითაც დგება საგამოცდო ბილეთები, თუ საგამოცდო ნაშრომთა შეფასებები), რაც ექსპერტთა ვიზიტისას გამართულ შეხვედრებზეც იქნა დაფიქსირებული. აც შეეხება პროგრამების განმახორციელებლებს, მათ ნებისმიერ მომენტში აქვთ თსუ - ს საგამოცდო ცენტრიდან შეფასებული საგამოცდო ნაშრომების გამოთხოვის შესაძლებლობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ამ რეკომენდაციას უფრო რჩევის ხასიათი აქვს, პროგრამების განმახორციელებელთა მხრიდან შუალედური შეფასების შემდეგ სტუდენტთან აქტიური უკუკავშირის, მათი სუსტი მხარეების გაუმჯობესების მიზნით რეაგირების არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენებაზეა აქცენტირებული, რაც ამ პროცესის შეუქცევად განვითარებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება წინაპირობებს, როგორც კლასტერში წარმოდგენილი რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აღწერა ცხადყოფს პროგრამაზე სწავლის მსურველს შიდა საუნივერსიტეტო ორი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი: 1) უცხო ენისა და 2) სპეციალობის. პროგრამის ფრანგული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებზე ჩაბარების მსურველებმა უცხო ენის გამოცდაზე უნდა დაადასტურონ ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა - ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე. ექსპერტთა ვიზიტის დროსაც მოხდა მათი მხრიდან აღნიშნულ საკითხზე პროგრამის განმახორციელებელთა ყურადღების გამახვილება – იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა ანალოგიურად დაადასტურონ სასპეციალიზაციო მოდულის უცხო ენის – იტალიური/ესპანური ენის ცოდნა B2 დონეზე. ინსტიტუცია მადლობას უხდის ექსპერტებს ამ შენიშვნისთვის, რადგან, როგორც ჩანს, სპეციალობის გამოცდის გამინაარსება უფრო მკაფიოდ უნდა მომხდარიყო, რათა აღნიშნული კითხვები არ გაჩენილიყო, მნიშვნელოვანი განიმარტოს, რომ იტალიური და ესპანური ფილოლოგიის მოდულების ხელმძღვანელებმა სპეციალობის გამოცდის უფრო დეტალურად გაწერილი შინაარსი უკვე წარმოადგინეს საგამოცდო პროგრამასა და ბილეთის ფორმირების წესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გალისიური ენისა და კულტურის არჩევითი კურსების შენარჩუნება ესპანისტიკის პროგრამაში ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანია, რადგან აღრმავებს პროგრამის სოციო-კულტურულ ასპექტებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან კურსის კვალიფიციური ლექტორის შერჩევისა და სილაბუსების წარმოდგენის პროცესი დაგვიანდა, აკრედიტაციისა და ამ სილაბუსების პროგრამულ პაკეტში შეტანის პროცესები დროში აცდა ერთმანეთს, შესაბამისად, ამ ეტაპზე არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან დროებით ამოღებულ იქნება აღნიშნული კურსები და ეს პროგრამის მიზან-შედეგებს არანაირად არ შეცვლის, რადგან, როგორც ზემოთაც აღნიშნა, მათ პროგრამაში არჩევითი სტატუსი აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ დასკვნის შესაბამისად პროგრამების ფარგლებში არის შემთხვევები, როდესაც ერთი ლექტორი კითხულობს რამდენიმე საგანს, ხანდახან 10-ზე მეტსაც, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად ხშირია აღნიშნული შემთხვევები და საბჭოს წევრმა დააზუსტა რამდენად აქვს მსგავს შემთხვევას რჩევის ხასიათი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მსგავსი შემთხვევები ხშირი არ არის, მაგრამ მაინც ვხვდებით რამდენიმე მაგალითს. თუმცა, ასევე, უნდა განიმარტოს, თუ რატომ არის აღნიშნული რჩევა და არა რეკომენდაცია, კერძოდ, მოცემული არ ნიშნავს იმას, რომ ერთი აკადემიური პერსონალი ერთდროულად კითხულობს ბევრ სასწავლო კურსს, აღნიშნული განაწილებულია წლებსა და სემესტრებზე. ამასთან, ერთსა და იმავე საგანს კითხულობს რამდენიმე პირი, ვინაიდან თავად აკადემიურ პერსონალის დატვირთვებთან მიმართებით არანაირი პრობლემა არ არის და მოცემული სრულიად შეესაბამება მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგნების ჩამონათვალში, ასევე, შედის ენის ჯგუფები, შესაბამისად, დატვირთვა არ აღემატება ნორმას, მაგალითად ბერძნული ენა, რომელიც განსაზღვრულია როგორც 6 საგანი, სინამდვილეში ეს არის ერთი საგანი, რომელიც რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. შესაბამისად, ბერძნული ენის სპეციალისტი ასწავლის როგორც დაწყებითებს, ასევე მაღალი საფეხურის სტუდენტებსაც.

ამასთან დაწესებულებამ განმარტა, რომ აქტიურად იმუშავენ ქულობრივი ჩაშლის საკითხის მოწესრიგებაზე, თუმცა ამ ეტაპზეც საკითხი საკმაოდ გამჭვირვალედ არის წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო :17:20

დასრულების დრო:18:00

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული აკრედიტაციის სტანდარტების საერთო შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლასიკური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლასიკური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად;
2. რეკომენდებულია, შუალედური შეფასების (გამოცდის) შემდეგ პროფესორმასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად;
3. განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი;
4. სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელდებოდეს.

რჩევები:

1. სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაიწეროს (საფეხურის შესაბამისად, 8 სემესტრი ან 4 სემესტრი) რაც სტუდენტებს გაუადვილებს კურიკულუმში ორიენტაციას და არჩევანის გაკეთებას.
2. სასურველის პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა;
3. სასწავლო კურსში „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“, შინაარსის/თემების შეკვეცის ნაცვლად სასურველია, გაიზარდოს კურსის მოცულობა (კრედიტებსა და საათებში). სასურველია, ამ თვალსაზრისით, გაგრძელდეს პროგრამის სამუშაო ჯგუფის კომუნიკაცია სტუდენტებთან;
4. სასურველია, პროგრამაში სასწავლო კურსების მოცულობა დაბალანსდეს, ერთი მხრივ, ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის, მეორე მხრივ კი, ლათინური ენისა და რომაული ლიტერატურისა და კულტურის სასწავლო კურსებს შორის; შესაძლებელია, ამ თვალსაზრისით, ერთგვარი გამოსავალი იყოს რომაული ცივილიზაციის/კულტურის არჩევითი თემატური ბლოკის შექმნა დაინტერესებული სტუდენტებისთვის, ან პროგრამის ფარგლებში 2 მოდულის შეთავაზება.
5. სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პრაქტიკის ელემენტის და სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ.
6. სასურველია, ბიუჯეტი კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ კლასტერულად, არამედ ცალ-ცალკევ, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და მასში ინფორმაცია ასახული იყოს უფრო დეტალურად, რაც შესაძლებელს გახდის თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გაანალიზებას და ფინანსური მდგრადობის შეფასებას;
7. სასურველის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო პროცესის განსახორციელებელი კორპუსების (თსუ-ის V, VIII კორპუსები) რეაბილიტაცია, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უნდა მოწესრიგდეს მატერიალურ-ტექნიკური

ბაზა, ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნიკით, რომ სასწავლო პროცესში შეფერხების გარეშე იქნეს გამოყენებული მულტი მედია და სხვა ტექნოლოგიები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27²მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად;
2. რეკომენდებულია, შუალედური შეფასების (გამოცდის) შემდეგ პროფესორმასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად;
3. განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი;
4. სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელებადი.

რჩევები:

1. სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაიწეროს (საფეხურის შესაბამისად, 8 სემესტრი ან 4 სემესტრი) რაც სტუდენტებს გაუადვილებს კურიკულუმში ორიენტაციას და არჩევანის გაკეთებას.

2. სასურველის პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა;

5. სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პრაქტიკის ელემენტის და სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ.

6. სასურველია, ბიუჯეტი კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ კლასტერულად, არამედ ცალ-ცალკევ, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და მასში ინფორმაცია ასახული იყოს უფრო დეტალურად, რაც შესაძლებელს გახდის თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გაანალიზებას და ფინანსური მდგრადობის შეფასებას;

7. სასურველის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო პროცესის განსახორციელებელი კორპუსების (თსუ-ის V, VIII კორპუსები) რეაბილიტაცია, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უნდა მოწესრიგდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნიკით, რომ სასწავლო პროცესში შეფერხების გარეშე იქნეს გამოყენებული მულტი მედია და სხვა ტექნოლოგიები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ახალი ბერძნული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

უსდ-მ არ გაიზიარა რეკომენდაცია „რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“ გადავიდეს არჩევით ბლოკში“. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებმა არ გაიზიარეს უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია. ვთვლით, რომ აღნიშნული საგანი, რომლის შინაარსი შეტანილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ისწავლება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ არის რეკომენდირებული ამ შინაარსით და ასეთი დიდი კრედიტებით წარმოდგენილი იყოს „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნებში.

უსდ-მ არ გაიზიარა რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში“. ექსპერტები ეთანხმებიან უსდ-ს პოზიციას, რომ გარკვეული საკითხები შეტანილია სასწავლო კურსებში: „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“; „Web აპლიკაციების დაპროგრამება“; „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ თუმცა ამ სილაბუსებში არსებული თემატიკა სრულად ვერ ფარავს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში დადგენილ შედეგებს. ამიტომ ექსპერტების მხრიდან არ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. წარმოდგენილი პროგრამის პირველ მიზანში გამოიკვეთოს, თუ რომელი სპეციალობის კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.
3. რეკომენდირებულია პროგრამაში გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომისთვის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში.

5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“ გადავიდეს არჩევით ბლოკში.
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ოპერაციული სისტემები“ გადავიდეს მესამე სემესტრში და წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „კომპიუტერული ქსელები“ წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
8. რეკომენდირებულია „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ წინ უსწრებდეს „WEB აპლიკაციების დაპროგრამების“ სასწავლო კურსს.
9. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „Back-End დეველოპმენტი (PHP)“ გადავიდეს სავალდებულო საგანთა ნუსხაში.
10. რეკომენდირებულია არჩევითი საგნად დაემატოს NoSQL ბაზის სასწავლო კურსი, ან რომელიმე არსებულ რელევანტურ კურსში მოხდეს საკითხების ჩამატება.
11. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ შინაარსში დაემატოს ვებ-დიზაინის შესრულებისთვის დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტის განხილვა (მაგალითად, Figma)
12. სასწავლო კურსებში: „IT პროექტების მართვა“, „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ ჯგუფურ პროექტში ინდივიდუალურად შეფასების კრიტერიუმები გახდეს მეტად გამჭვირვალე;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი საბაკალავრო პროგრამის მიზანს განიხილავს როგორც 4 პუნქტისგან შემდგარ ერთიან ტექსტს, რომლის თუნდაც II და III პუნქტებში მითითებულია იმ სფეროს შესახებ, რომელშიც პროგრამა კურსდამთავრებულებს ამზადებს. თუმცა, პრობლემას არ წარმოადგენს პირველ პუნქტშიც სფეროს შესახებ ჩანაწერის გაკეთება, შესაბამისად, პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდა ასე, საბაკალავრო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე სამყაროს გამოწვევების შესაბამისი თეორიული, პრაქტიკული და ანალიტიკური ცოდნა, რითაც ისინი შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე წარმატებულ საქმიანობა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების შესაბამისად, პროგრამის „კურიკულუმის რუკა“ -ში დაზუსტდა ზოგიერთი ჩანაწერი.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამის დანართში #2 „ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა“ გაკეთდა ჩანაწერი საბაკალავრო ნაშრომის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობასთან დაკავშირებით.

ასევე მნიშვნელოვანია განიმარტოს რომ რეკომენდაცია პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გადატანილ იქნა რჩევაში, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია განმარტება გაკეთდეს საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ საბაკალავრო პროგრამის მიხედვით მერვე სემესტრში გაწერილია მხოლოდ 2 სავალდებულო სასწავლო კომპონენტი: „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაა: სპეციალობის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი; პრაქტიკის წინაპირობაა ასევე სპეციალობის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი. როგორც აღვნიშნეთ, საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკა ორივე VIII სემესტრის სავალდებულო კომპონენტებია, ხოლო სპეციალობის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი VII სემესტრის ჩათვლით ისწავლება. თუმცა აღნიშნული მითითება არარელევანტურია, რადგან თუ სპეციალობის ყველა სასწავლო კურსის სწავლება VII სემესტრში მთავრდება, ეს თავისთავად იმას ნიშნავს, რომ საბაკალავრო

ნაშრომისა და პრაქტიკის წინაპირობა მეშვიდე სემესტრის ჩათვლით სპეციალობის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსია. რაც შეეხება „საბაკალავრო ნაშრომს“ და „პრაქტიკას“, ისინი ვერ ჩაითვლება სასწავლო კურსად, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანების მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკა არა სასწავლო კურსები, არამედ სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილებია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ვალდებულება არ წარმოადგენს რჩევების შესრულებას, შესაბამისად, საკითხთან დაკავშირებით დისკუსია კვლავ გაგრძელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუცია არ იზიარებს დასკვნაში არსებულ მე-4 რეკომენდაციას, კერძოდ „ადამიანი-კომპიუტერის“ ცოდნის სფეროს ქვეშ პროგრამაში მოიაზრება შემდეგი საგნები: „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“; „Web აპლიკაციების დაპროგრამება“; „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“. არჩევით საგნებში სრულიად შესაძლებელია შედეგებში ჩამოთვლილი სფეროებიდან არსებობდეს საგნები, რომელთაც სტუდენტი მისი ინტერესების სფეროს გაღრმავების სურვილის შემთხვევაში აირჩევს.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, სასწავლო კურსის „ICT წიგნიერება“ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში ჩასმა განპირობებულია იმით, რომ უმეტესობა სასწავლო კურსების, პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებებში ვხვდებით პრეზენტაციებს, სადაც საჭიროა საოფისე პროგრამა „Power Point“-ის, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას კი - „Word“-ის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საოფისე პროგრამების კუთხით სკოლაში მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები არასაკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტმა სრულყოფილად შეძლოს პრეზენტაციების და დოკუმენტების აკადემიური წერის პრინციპების დაცვით მომზადება. მოცემულ შემთხვევაში საკმარისი არ არის დოკუმენტში მხოლოდ ტექსტის აკრეფის ცოდნა, საუბარია აკადემიური წერის პრინციპების სწავლებასა და მათ გამოყენებაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს ზემოაღნიშნულ რეკომენდაციას, სასწავლო კურსის „ICT წიგნიერება“ არჩევით ბლოკში გადატანასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი ასევე იზიარებს რეკომენდაციას სასწავლო კურსის „ოპერაციული სისტემები“ მესამე სემესტრში გადატანასთან და წინაპირობად სასწავლო კურსის „კომპიუტერის არქიტექტურა“ განსაზღვრასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, სასწავლო კურსის „კომპიუტერული ქსელები“ წინაპირობად სასწავლო კურსის „კომპიუტერის არქიტექტურა“ განსაზღვრასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული სასწავლო კურსები სასურველია ისწავლებოდეს ერთიდაიგივე სემესტრში, რადგან აღნიშნული საგნები არის ერთმანეთის შემავსებელი. „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“-ს სხვა სემესტრში სწავლება ბევრად არაეფექტურია, იმიტომ რომ სამომხმარებლო ინტერფეისის სტატიკური ნამუშევრის შექმნის შემდგომ აუცილებელია სტუდენტმა მოახდინოს მისი პრაქტიკული რეალიზება და რაც უფრო მოკლე დროში მოხდება ეს, მით უკეთესად გაიაზრებს თანდართულ გამოწვევებს და იზრუნებს მათი გაუმჯობესების გზებზე. ვინაიდან ოპერაციული სისტემები გადაგვაქვს მეორე სემესტრიდან მესამე სემესტრში, სტრუქტურის უკეთ დალაგებისთვის გამოთავისუფლებული კრედიტის შევსება მოხდება სასწავლო კურსით - „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა ფაქტობრივად გაიზიარა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ სასწავლო კურსის „Back-End დეველოპმენტის (PHP)“ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადატანასთან დაკავშირებით, ამასთან, სასწავლო კურსის „დიდი მონაცემების სისტემები“ პირველივე ლექციის თემა არის სტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემები. ახევრად სტრუქტურირებული მონაცემები მუშავდება NoSQL-ით. პირველი ექვსი კვირის

პრაქტიკული დავალება რეალურად ითვალისწინებს NoSQL-თან მუშაობას, თუმცა უნივერსიტეტი იზიარებს ზემოაღნიშნულ რეკომენდაციას და დაკორექტირდა სილაბუსი „დიდი მონაცემების სისტემები“.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია სასწავლო კურსის „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ შინაარსში ვებდიზაინის შესრულებისთვის დღესდღეობით პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტის Figma - ის დამატებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორის მიერ შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სილაბუსში და წარმოდგენილ იქნა მის მიერ მომზადებული ზემოაღნიშნული საკითხების შესაბამისი რიდერი. ამასთან, სასწავლო კურსებში: „IT პროექტების მართვა“ და „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“, ჯგუფურ პროექტში ინდივიდუალურად შეფასების კრიტერიუმები გახდა უფრო მეტად გამჭვირვალე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მე - 4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასვა დამაზუსტებელი კითხვა, შესაძლებელია თუ არა მოცემული საკითხების გაძლიერება სხვა სასწავლო კურსებით, ისე, რომ დაიფაროს პროგრამის სწავლის შედეგები და მიღწევადი იყოს. ასევე საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს კიდევ ერთხელ გაეკეთებინათ განმარტება მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით, რასაც დაწესებულება არ იზიარებს.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ ღრუბლოვანი ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რჩევასთან მიმართებით აღნიშნა, გამომდინარე იქიდან, რომ მიმართულება საკმაოდ მნიშვნელოვანი და მზარდია, რამდენად აქვს მოცემულ საკითხს რჩევის ხასიათი. გარდა ამისა, რჩევებში, ასევე, მოცემულია, რომ რიგი სილაბუსი ემთხვევა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სილაბუსებს, შესაბამისად, საქმე ეხება შინაარსობრივ მსგავსებას, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ ჩანაწერში. ასევე, ის დაინტერესდა არის თუ არა პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.

საბჭოს თავმჯდომარე, გოგა ბუჩაშვილი დაინტერესდა, ექსპერტები გაეცნენ თუ არა შრომის ბაზრის კვლევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ნამდვილად ასწავლის გარკვეულ საკითხებს ამ მიმართულებით, თუმცა აქ არის არა მარტო ვებ დიზაინი და აპლიკაციები, არამედ არის ასევე პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი. თუ ინსტიტუცია გააკეთებს ისე, რომ გარკვეულ საგნებში აღნიშნული თემატიკა იქნება გათვალისწინებული შესაძლებელი იქნება სწავლის შედეგების მიღწევა.

რაც შეეხება ICT წიგნიერებას, აბიტურიენტებმა ძირითადად კარგად იციან ექსელში მუშაობა, ამასთან ისინი ამას სწავლობენ სკოლაშიც. საუნივერსიტეტო დონეზე იგივეს სწავლება, რაც სკოლაში ისწავლება არ არის მისაღები, მაგალითად მათემატიკას თავიდან ხომ არ ვასწავლით, შესაბამისად სასწავლო კუსიც ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ სტუდენტს ახალი ცოდნა მისცეს. გამომდინარე აქედან, რომ ვიზიტის დროსაც გაჟღერდა, რომ უმჯობესი იქნებოდა მოცემული სასწავლო კურსი განსაზღვრულიყო არჩევით საგნად და შესაბამისად, იმ სტუდენტებს ვისაც არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება არჩევის შედეგად შეისწავლიან მოცემულ საკითხებს, ხოლო მათ, ვისაც აქვთ შესაბამისი ცოდნა, კურსი იქნება მეტად უინტერესო და არაფრის მომცემი.

ექსპერტმა განმარტა, რომ რა თქმა უნდა უნივერსიტეტს სილაბუსის თავისი ფორმა აქვს, თუმცა შინაარსობრივად ზუსტად ემთხვევა სხვა უნივერსიტეტის სილაბუსებს. რაც შეეხება ღრუბლოვანი ტექნოლოგიებს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები საკმაოდ დიდ ხანს მსჯელობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ნამდვილად აუცილებელია თავად პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე ვერ დადგინდა თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საგნების განაწილება, რომ ეს საგანი განსაზღვრულიყო სავალდებულო სასწავლო კურსის

სახით. გამომდინარე აქედან, მოცემული განისაზღვრა რჩევების სახით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი არ არის მოცემული ცალკე დოკუმენტად. არსებობს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საკმაოდ კარგი შრომის ბაზრის კვლევა.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის შედეგად გაზიარებულ რეკომენდაციებს ექსპერტების დეტალურად გაეცნენ. დაწესებულებამ რეკომენდაციების უმრავლესობა გაიზიარა და გაატარა შესაბამისი ცვლილებები, რაც ასახულია უკვე პროგრამაში, ამას ადასტურებს ექსპერტთა ჯგუფიც. გამომდინარე აქედან მოცემული საკითხები არ უნდა აყოს გათვალისწინებული კვლავ რეკომენდაციების სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პოზიცია საკითხთან დაკავშირებით უკვე გაჟღერდა, თუმცა თუ საბჭოც გაიზიარებს მოცემულ რეკომენდაციებს, დაწესებულება გაატარებს შესაბამის ცვლილებებს. ამასთან უნდა აღნიშნოს, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების უმრავლესობა გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო არ იქნება უფლებამოსილი გაითვალისწინოს რეკომენდაციების შესრულების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული განხორციელდა ვიზიტის შემდგომ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს დეტალურად აქვს შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი, რომელიც ხელმისაწვდომია ასევე დაწესებულების ვებ-გვერდზე. მოცემულ წესში დეტალურად არის გაწერილი ყველა კომპონენტი, დაწყებული იქიდან თუ რომელ სემესტრში იწყებს სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომისთვის მზადებას, როგორ ირჩევს სტუდენტი თემას, როგორ მტკიცდება თემატიკა ასევე ხელმძღვანელი, როგორ ხდება შეფასება, ყველა ზემოაღნიშნული დეტალი ზედმიწევნით არის განსაზღვრული მოცემულ წესში. ამ ეტაპზე, დაწესებულება საერთოდ ვერ ხედავს საჭიროებას იმისა, რომ მოცემული საკითხები აუცილებლად სილაბუსის ფორმით იყოს განსაზღვრული და ერქვას სილაბუსი, და არა საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი.

რაც შეეხება სილაბუსების დამთხვევის საკითხს, დაწესებულებას არ აქვს იმის რესურსი მოიძიოს ყველა უნივერსიტეტის სილაბუსები და დაადგინოს თუ რა ემთხვევა და რა არა. ექსპერტები მიუთითებენ რომ ემთხვევა მხოლოდ თემატიკა და არა მაგალითად შეფასების სისტემა. იმ შემთხვევაში თუ იდენტურია ლიტერატურა, ეს აიხსნება იმით, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ მცირეა ზოგადად ლიტერატურა. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტებს არსად არ აქვთ მითითებული ის, რომ ამ მოცემულობით პროგრამა სწავლის შედეგებზე ვერ გადის რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე აღნიშნა, რომ საკითხი რომ მოითხოვდეს მატერიალურ ტექნიკურ ბაზის დათვალიერებას, ვიზიტის აუცილებლობა გასაგები იქნებოდა, თუმცა რეკომენდაციები ძირითადად ეხება სილაბუსის ცვლილებებს, რისი ხილვაც საბჭოს მარტივად შეუძლია წარმოდგენილ დოკუმენტებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:15

დასრულების დრო: 19:03

სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემდეგ განახლდა საბჭოს სხდომა:

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს კვლავ აქვს დამაზუსტებელი კითხვები რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს სილაბუსების შინაარსის იდენტურობას. შესაბამისად, მან მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ მოცემული საკითხის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა ისე აღმოჩნდა, რომ სილაბუსები იდენტური იყო იმ სილაბუსის, რომელიც თავად ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ იყო შედგენილი. სწორად ამან განაპირობა შინაარსობრივი დამთხვევის აღმოჩენა. მოცემულ შემთხვევაში სახელმძღვანელო პრობლემა არ არის, თუმცა საქმე იმაშია, რომ მოცემული სილაბუსი სახელმძღვანელოს არ მიყვება. მიუხედავად ამისა, სილაბუსი იგივე თანმიმდევრობითა და შინაარსით არის წარმოდგენილი როგორც სხვა დაწესებულების სილაბუსში.

საბჭს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა მხოლოდ შინაარსი ემთხვევა, თუ ასევე პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგებიც იდენტურია.

ექსპერტმა განმარტა, რომ იდენტურია მხოლოდ შინაარსი, მიზნები და შედეგები – არა, სწორედ ამიტომ იქნა საკითხი გათვალისწინებული რჩევის სახით. თავად სილაბუსი მოცემულია უნივერსიტეტის ფორმაში, რაც რა თქმა უნდა განსხვავდება სხვა უნივერსიტეტის ფორმისგან, მაგრამ კვირეული ჩანაწერი, რაც ისწავლება და შინაარსი 100%-ით იდენტურია სხვა დაწესებულების სილაბუსის. ექსპერტმა განმარტა, რომ თემატიკა, შესაბამისად ქვეთემატიკაც და პროექტის მიმდინარეობაც იდენტურია. სახელმძღვანელო რომ მიყვებოდეს სილაბუსს პრობლემა ნამდვილად არ იქნებოდა, თუმცა სილაბუსი არ მიჰყვება სახელმძღვანელოს და იდენტურია სხვა დაწესებულების სილაბუსისა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ექსპერტმა თავდაპირველად განმარტა, რომ მსგავს შემთხვევას ვერც პროგრამის ხელმძღვანელი დაადგენს და ვერც ხარისხის სამსახური, მაშინ როდესაც დაწესებულებას საერთოდ არ აქვს წვდომა სხვა დაწესებულებების სილაბუსებთან. ამასთან, როდესაც ექსპერტი ასეთ მწვავე შეფასებას წერს დასკვნაში აუცილებელია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნული საკმაოდ შეურაცხმყოფელია როგორც უნივერსიტეტისთვის ასევე სილაბუსებზე მომუშავე აკადემიური პერსონალისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:20

დასრულების დრო: 19:55

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული აკრედიტაციის სტანდარტების საერთო შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (31/12/2025) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2025) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1. წარმოდგენილი პროგრამის პირველ მიზანში გამოიკვეთოს, თუ რომელი სპეციალობის კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა;
3. რეკომენდირებულია პროგრამაში გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომისთვის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“ გადავიდეს არჩევით ბლოკში;
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ოპერაციული სისტემები“ გადავიდეს მესამე სემესტრში და წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“;
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „კომპიუტერული ქსელები“ წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“;
7. რეკომენდირებულია „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ წინ უსწრებდეს „WEB აპლიკაციების დაპროგრამების“ სასწავლო კურსს;
8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „Back-End დეველოპმენტი (PHP)“ გადავიდეს სავალდებულო საგანთა ნუსხაში;
9. რეკომენდირებულია არჩევითი საგნად დაემატოს NoSQL ბაზის სასწავლო კურსი, ან რომელიმე არსებულ რელევანტურ კურსში მოხდეს საკითხების ჩამატება;
10. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ შინაარსში დაემატოს ვებდიზაინის შესრულებისთვის დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტის განხილვა (მაგალითად, Figma);
11. სასწავლო კურსებში: „IT პროექტების მართვა“, „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ ჯგუფური პროექტის შეფასების კრიტერიუმები გახდეს მეტად გამჭვირვალე;

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს;
2. სასურველია პროგრამის განხორციელების და შეფასების შემდგომ გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების გადახრის მაჩვენებელი;

3. სასურველია სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში;
4. სასურველია პროგრამაში არჩევით ბლოკში დაემატოს ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სასწავლო კურსი სასურველია „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობად განესაზღვროს კრედიტების რაოდენობა;
5. სასურველია შეიქმნას ცალკე სილაბუსი საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსისთვის;
6. სასურველია სასწავლო კურსების: „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“ და „კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება“ სასწავლო კვირების შინაარსი არ იყოს იდენტური სხვა უნივერსიტეტის ამავე სახელწოდების სილაბუსების;
7. სასურველია უნივერსიტეტმა გააღრმავოს მუშაობა პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის კუთხით;
8. სამომავლოდ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად სასურველია პერსონალის დაინტერესება იმგვარად, რომ იმ პროფესორებმა მაინც, ვინც ამ პროგრამაში 3 ან მეტ დარგობრივ კურსს გაუძღვება, სხვა უსდ-ებში შეამცირონ დატვირთვები შეძლებისდაგვარად. ამასთან მიმართებაში ასევე სასურველია პროგრამის აკრედიტაციის პირობებში გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ გადამოწმდეს რამდენად უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალი გაუწიონ მომსახურება სტუდენტების მზარდ რაოდენობას.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
2	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 07 ივლისის N685545 გადაწყვეტილება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ.168, ქ. თბილისი, სასწავლოკორპუსი1, 0175, საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგი (პროგრამის 1, 2, 4.1 და 5.3 სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება) განხორციელდა ონლაინ, ზუმის პლატფორმის მეშვეობით 2022 წლის 31 ოქტომბერს. ვიზიტამდე განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების დისტანციური წინამოსამზადებელი შეხვედრა. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა ჯგუფის წევრებზე დავალებები. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების შესახებ, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უსდ-ს მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია აკრედიტაციის საბჭოს 07.07.2021 წლის გადაწყვეტილებით „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. უსდ მიიჩნევს, რომ 2022 წლის 31 ოქტომბერს 7 ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მომზადებულ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსაბამობაშია „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებთან და „დასკვნის პროექტით წარმოდგენილი ახალი რეკომენდაციები, შესაძლებლობების კუთხით, როგორც გარე შეფასებით მიღებული დამატებითი მიგნებები, დღეს ატარებენ რჩევების სტატუსს, რომელთა შესახებ, პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი გუნდი, დადგენილი პროცედურებით იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ყველა დაინტერესებული პირთა წრის თანამონაწილეობით“. წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაციები დატოვა უცვლელად, ვინაიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგი, რაც ითვალისწინებს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება ისე, რომ იგი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მენეჯმენტის ბაკალავრის აუცილებელი, მინიმალური, კომპეტენციებით, რაც დადგენილია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი

მახასიათებელი დოკუმენტით. პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ის სპეციფიკური უნარები და კომპეტენციები, რომლის შეძენის შესაძლებლობაც რეალურად აქვს სტუდენტს პროგრამის დასრულებით;

2. დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, განსაკუთრებით კი ის სასწავლო კურსები, რომელთაც აქვთ განმტკიცების მე-3 დონე.
3. საჭიროა ინგლისური ენის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო წესით სწავლება, სხვა ენები კი უნდა გადავიდეს არჩევით კომპონენტში. უსდ-მ სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ ჩაუბარებიათ ინგლისური ენა, პროგრამის ფარგლებში შესთავაზოს ერთსემესტრიანი კურსი დამწყებთათვის, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს ინგლისური ენა 1-ზე სწავლის გაგრძელებას;
4. პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსები: „დარგობრივი ინგლისური“, „საგადასახადო საქმე“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „ბიზნეს ეთიკა“ და „გაყიდვების მენეჯმენტი“;
5. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ:
 6. ფინანსების საფუძვლებს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები დაშვების წინაპირობად არ სჭირდება. ეს სასწავლო კურსი შეიძლება დაშვების წინაპირობის გარეშე იქნას შეთავაზებული;
 7. ფინანსურ აღრიცხვას და მმართველობით აღრიცხვას არასწორად აქვს ფინანსების საფუძვლები მითითებული დაშვების წინაპირობად. ფინანსურ აღრიცხვაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვა, ხოლო თავად ფინანსური აღრიცხვა კი უნდა განისაზღვროს მმართველობით აღრიცხვაზე დაშვების წინაპირობად;
 8. საბანკო და სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის სასწავლო კურსზე დაშვების პირობად ფირმის მენეჯმენტის ნაცვლად განისაზღვროს ფინანსების საფუძვლები;
 9. მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთგვაროვანი მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების დაკორექტირება ისე, რომ თითოეული სასწავლო კურსის შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას;
10. მოხდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურის ჩანაცვლება დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურით. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ძირითადად ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურით სწავლება;
11. სასწავლო კურსის „ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში“ შინაარსი და სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში. საჭიროა თემატიკის იმგვარად დაკორექტირება, რომ სამეწარმეო ბიზნესის სპეციფიკა იყოს გათვალისწინებული;
12. მეტი ყურადღებით შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომების თემები, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
13. მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა მიერ კვლევების ჩატარებას და რელევანტური, უახლესი ლიტერატურის გამოყენებას, რათა ნაშრომები აკმაყოფილებდნენ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
14. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით მოხდეს საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება;
15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააძლიეროს პროგრამის ხელმძღვანელებთან/განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობა, რათა ეფექტურად მოხდეს პოტენციური გამოწვევების გამოვლენა, განსაკუთრებული ფოკუსირება მოახდინოს სწავლის შედეგების ფორმირებაზე, სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებაზე, სწავლების შეფასების ადეკვატურობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის შედეგად გაცემული იქნა 17 რეკომენდაცია, საიდანაც 15 დაწესებულებამ სრულიად შეასრულა, რაც ასევე ასახულია დასკვნაში. ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების რუკას, რომელთა მიმართებითაც უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს და შესაბამისად ამ ეტაპზე წარმოდგენილი იქნა უკეთესი ვერსია, ხოლო მეორე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესრულდა იმ ფორმით რა ფორმითაც იყო საბჭოს მი მოთხოვნილი, თუმცა დაწესებულება აგრძელებს ამ კუთხით მუშაობას. რეკომენდაცია ეხებოდა ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსად განსაზღვრას. ამასთან უნდა განიმარტოს, რომ აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გარდა ინგლისური ენისა, ახარებენ სხვა უცხოურ ენებსაც. შესაბამისად ინგლისურის სავალდებულო უცხოურ ენად ქცევა ვერ მოხერხდა. არსებული პრაქტიკით, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა უმეტესი წარმოდგენილია ინგლისური ენით, თუმცა, არიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ რუსულ და გერმანულ ენას. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს აქვთ უცხოური ენის არჩევითობის შესაძლებლობა, ისინი ეტაპობრივად იღრმავებენ ცოდნას და აღწევენ იმ დონეს, რაც აძლევთ მათ შესაძლებლობას გაეცნონ უცხოურ ენაზე თანამედროვე მასალებს და აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სტუდენტებს, უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში აქვთ შეთავაზება, დამატებითი გადასახდელის გარეშე, გაიარონ ინგლისური ენის შემსწავლელი სხვადასხვა დონის კურსები.

რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, მონიტორინგის პროცესში უნდა შემოწმდეს საბჭოს მიერ აკრედიტაციის მინიჭების პარალელურად განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში სახეუა მონიტორინგს გარეთ შეფასება, აქედან გამომდინარე აუცილებელია დაწესებულებას ჰქონდეს განვითარებისთვის შესაბამისი დრო, რომ ორიენტირებული იყოს არა მარტო მიზნობრივ რეკომენდაციებზე, არამედ შიგნიდან მოხდეს შეფასება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. შესაბამისად, დაწესებულება თხოვნით მიმართავს საბჭოს, რომ საკითხის განხილვა მოხდეს იმ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რომელიც დაწესებულება დებულებით და შემოიფარგლოს წინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების გარკვევით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პარალელურად დაწესებულებას დაენიშნა ანგარიში და მონიტორინგი. მან დაწესებულებას კითხა, წარმოადგინეს თუ არა ცენტრში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში და საბჭომ მიიჩნია თუ არა შესრულებულად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ექსპერტებს სთხოვა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება. ასევე ის დაინტერესდა რა იყო მეორე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, რომელიც გულისხმობს გარკვეული სასწავლო კურსების დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ მონიტორინგამდე დაწესებულებები მიერ წარდგენილი იქნა ანგარიში. ამასთან ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა რეკომენდაციების შესრულებები საკითხი და უნდა ითქვას, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულების მიერ სრულიად იქნა შესრულებული.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგებიდან ნაწილობრივ ჩანს, თუ რა ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას შეიძენს სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ. ამგვარად ფორმულირებული პროგრამის სწავლის შედეგები

შემოიფარგლება მხოლოდ მენეჯმენტის ბაკალავრის აუცილებელი კომპეტენციებით, რომელიც დადგენილია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით და არ ჩანს ის სპეციფიკური უნარები და კომპეტენციები, რომლებსაც იძენს სტუდენტი პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები პროგრამის ფარგლებში არ იფარება, მაშინ როცა პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნული მითითებულება, პროგრამაში კი არ არის სასწავლო კურსები, რომლებიც ამ შედეგზე გადის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი სიღრმისეულად არ ჩასძიებია მოცემულ რეკომენდაციას, ვინაიდან მოემზადა აკრედიტაციის საბჭოს შედეგად განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებისთვის და შესაბამისად ძირითადი აქცენტი გაკეთდა ანგარიშსა და მონიტორინგებზე. მოცემულ შემთხვევაში კი პროგრამა შეფასდა ისე, როგორც ხელახალი აკრედიტაციის დროს. ასევე სწავლის შედეგებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებელი მიღებული იქნა აკრედიტაციის შემდგომ, მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, შესაბამისად ცვლილებები განხორციელებული იქნა მოგვიანებით.

რაც შეეხება ეთიკას, პროგრამის ფარგლებში ისწავლება დაახლოებით ოცამდე ისეთი საგანი, რომელიც ეხება მენეჯმენტს, მენეჯმენტის საფუძვლებს, ეთიკას, ტრანსპორტის მენეჯმენტს, ხელშეკრულების გაფორმების საკითხებს და ა.შ., შესაბამისად, როგორ შეიძლება სტუდენტი ვერ გავიდეს სწავლის შედეგზე, როცა ეთიკის სასწავლო კურსი წარმოდგენილია სავალდებულო საგნის სახით. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ისწავლება როგორც ფინანსების საფუძვლები, ასევე ფინანსური მენეჯმენტი, ამიტომ ეს საგნები თავისთავად ითვალისწინებს გადასახადების, განაკვეთების და გადახდების შესახებ ცოდნას. აქედან გამომდინარე აღნიშნული საკითხები პროგრამაში გათვალისწინებულია, შესაბამისად რთული იქნება კიდევ ახალი სავალდებულო საგნების დამატება რადგან ეს უნდა მოხდეს სხვა საგნების ხარჯზე. ის საგნები რაც განსაზღვრულია პროგრამაში სრულიად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებზე გასვლას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:48

დასრულების დრო: 21:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის არაუმეტეს 60 კალენდარული დღის მიცემის საკითხი ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება ისე, რომ იგი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მენეჯმენტის ბაკალავრის აუცილებელი, მინიმალური, კომპეტენციებით, რაც დადგენილია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დოკუმენტით. პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ის სპეციფიკური უნარები და კომპეტენციები, რომლის შეძენის შესაძლებლობაც რეალურად აქვს სტუდენტს პროგრამის დასრულებით;
2. დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, განსაკუთრებით კი ის სასწავლო კურსები, რომელთაც აქვთ განმტკიცების მე-3 დონე.
3. საჭიროა ინგლისური ენის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო წესით სწავლება, სხვა ენები კი უნდა გადავიდეს არჩევით კომპონენტში. უსდ-მ სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ ჩაუბარებიათ ინგლისური ენა, პროგრამის ფარგლებში შესთავაზოს ერთსემესტრიანი კურსი დამწყებთათვის, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს ინგლისური ენა 1-ზე სწავლის გაგრძელებას;
4. პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსები: „დარგობრივი ინგლისური“, „საგადასახადო საქმე“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „ბიზნეს ეთიკა“ და „გაყიდვების მენეჯმენტი“;
5. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ:
6. ფინანსების საფუძვლებს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები დაშვების წინაპირობად არ სჭირდება. ეს სასწავლო კურსი შეიძლება დაშვების წინაპირობის გარეშე იქნას შეთავაზებული;
7. ფინანსურ აღრიცხვას და მმართველობით აღრიცხვას არასწორად აქვს ფინანსების საფუძვლები მითითებული დაშვების წინაპირობად. ფინანსურ აღრიცხვაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვა, ხოლო თავად ფინანსური აღრიცხვა კი უნდა განისაზღვროს მმართველობით აღრიცხვაზე დაშვების წინაპირობად;
8. საბანკო და სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის სასწავლო კურსზე დაშვების პირობად ფორმის მენეჯმენტის ნაცვლად განისაზღვროს ფინანსების საფუძვლები;
9. მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთგვაროვანი მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების დაკორექტირება ისე, რომ თითოეული სასწავლო კურსის შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას;
10. მოხდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურის ჩანაცვლება დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურით. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ძირითადად ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურით სწავლება;
11. სასწავლო კურსის „ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში“ შინაარსი და სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში. საჭიროა თემატიკის იმგვარად დაკორექტირება, რომ სამეწარმეო ბიზნესის სპეციფიკა იყოს გათვალისწინებული;
12. მეტი ყურადღებით შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომების თემები, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
13. მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა მიერ კვლევების ჩატარებას და რელევანტური, უახლესი ლიტერატურის გამოყენებას, რათა ნაშრომები აკმაყოფილებდნენ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
14. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით მოხდეს საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება;

15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააძლიეროს პროგრამის ხელმძღვანელებთან/განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობა, რათა ეფექტურად მოხდეს პოტენციური გამოწვევების გამოვლენა, განსაკუთრებული ფოკუსირება მოახდინოს სწავლის შედეგების ფორმირებაზე, სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებაზე, სწავლების შეფასების ადეკვატურობაზე.

საბჭოს სხდომა დასრულდა **21:05 საათზე**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

